Guria Fruits

ხილის ხარისხის სერტიფიცირება

ხარისხის სერტიფიცირების რეგულაცია

ეს დოკუმენტი გამოჰყოფს და უზრუნველყოფს იმ პროდუქტების მაღალ ხარისხის მტკიცებულებას, რომლებიც ხელმისაწვდომია **გურიის ხილის ინკუბატორის ხარისხის სერტიფიცირების** ფარგლებში.

ეს პროდუქტები უნიკალური და ადგილობრივია; ეს ფორმა კი მიზნად ისახავს მათი მაღალი ხარისხის დემონსტრირებას.

სერტიფიკატის გაცემა პირობითად დამოკიდებულია გურიის ხილის ინკუბატორის დირექტორის თანხმობაზე.

რეგულაცია შეიქმნა ფარგლებში პროექტისა: **გურიის ხილი: ადგილობრივი მთავრობის მოდელები სასოფლო მეწარმეობის მხარდასაჭერად: ტარჩინი - ჩოხატაური (მოდული 1)“**

გურიის ხილის
ხარისხის სერტიფიკატი

გურიის ხილის ხარისხის სერთიფიკატი შეიქმნა პროექტის ფარგლებში: ხილი ბუდიაკიდან: ფერმერიდან მაგიდამდე. პოლონური პრაქტიკა და ევროკავშირის კანონმდებლობა ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად, რომელიც დაფუძნებულია მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავებაზე.

გურიის ხილის ინკუბატორს ეყოლება ტარჩინისა და ჩოხატაურის მერების მიერ შექმნილი საბჭო, იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტები თანამშრომლობენ პროექტის განხორციელებაში. პირველი საბჭოს წევრები დანიშნული იქნებიან მერების მიერ.

ინკუბატორის საბჭოს ერთ-ერთი როლი იქნება ხარისხის სერთიფიკატის მინიჭება სურსათის მწარმოებლებისა და ფერმერებისთვის, რომლებსაც შეეძლებათ მათ მიმართონ. ეს რეგულაცია არეგულირებს საგანაცხადო პროცესს და ასევე, იმ საჭირო პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ხარისხის სერთიფიკატის მისანიჭებლად.

საბჭო ადგენს ფუნქციონირების წესებს, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცედურებსა და წევრების წარმომადგენლობის მოქმედების წესებს. საბჭო ნიშნავს პირს, რომელიც პასუხისმგებელია ინკუბატორზე და ადგენს მის არეალსა და გაწეული მომსახურების ფასების ჩამონათვალს .

გურიის ხილის ხარისხის სერტიფიკატი არის პროდუქტის ხარისხისა და საკვების მწარმოებლის სანდოობის დადასტურება, რომლებიც ჩართულები არიან ნედლი პროდუქტების მოყვანასა და მათ გადამუშავებაში. ყველა, ვინც დააკმაყოფილებს კრიტერიუმებს და მიმართავს ხარისხის სერტიფიკატს, მიიღებს გამოყენების

უფლებას (რაც გულისხმობს, მათი პროდუქტის მარკირებას ან იარლიყზე ნიშნისა და ინფორმაციის ამობეჭდვას).

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, პოლონური განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

აღნიშნული გამოცემა გამოხატავს ექსკლუზიურად
ავტორის ხედვებს და არ შეიძლება მისი იდენტიფიცირება
პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს
ოფიციალურ პოზიციასთან.

გურიის ხილის ხარისხის სერტიფიკატის რეგულაცია

ზოგადი წესები

1. გურიის ხილი ხარისხის სერთიფიკატი გაიცემა მიღებული განაცხადის საფუძველზე.
2. განაცხადის წარდგენა შეუძლია ინდივიდუალურ მეწარმეს, სამეწარმეო ბიზნესს, ან დაწესებულებას რომელიც ამუშავებს მარცვლეულს ან აწარმოებს საკვებს, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
3. განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ინკუბატორის საიტზე არსებულ ფორმატში.
4. სერტიფიკატის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გურიის ხილის ინკუბატორის საბჭო.

5. სერტიფიკატი გაიცემა იმ საკვებ პროდუქტებზე, რომლებიც დამზადებულია იმ ნედლეულისგან რომელიც მოყვანილია ადგილობრივად, გურიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. განმცხადებელი უნდა იყოს ჩართული პროდუქტის ან პროდუქტის ძირითადი ინგრედიენტის წარმოებაში, სულ მცირე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. (ათვლა დაიწყება განაცხადის დღიდან, უკუმიმართულებით).

7. სერტიფიკატის გაცემა შესაძლებელია როგორც დამუშავებული, ასევე დაუმუშავებელი (ნედლი) საკვებისთვის.

8. დამუშავებული საკვების შემთხვევაში, დამუშავების უდიდეს ნაწილს ადგილი უნდა ქონდეს გურიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. დამატებითი ინგრედიენტების შეძენა კი, რომლის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს, შესაძლებელია მოხდეს გურიის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ.

9. იმ შემთხვევაში, თუ საკვების გადასამუშავებლად საჭირო მასალები არ იქნება ხელმისაწვდომი გურიის მუნიციპალიტეტში (მაგ: შესაფერისი ხარისხი ან რაოდენობა), ისინი შესაძლებელია იყოს მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან.

10. ნებისმიერი ხელოვნური დანამატების გამოყენება, რომლებიც გამოიყენება პროდუქტის ფერის ან გემოს გასაძლიერებლად, გამოიწვევს სერთიფიკატის გაცემაზე უარის თქმას.

11. ნედლეულის მოყვანა უნდა აკმაყოფილებდეს ორგანული საკვების მოყვანის მოთხოვნებს. ეს ეხება იმ პროდუქტებს, რომლებიც სერტიფიცირებული არიან როგორც ნედლი პროდუქტი და ასევე, გადამუშავებული პროდუქტის ინგრედიენტებს.

12. პროდუქტის შენახვა უნდა მოხდეს დამატებითი კონსერვანტების გარეშე. სხვა მეთოდები, როგორებიცაა ბუნებრივი ინგრედიენტების დამატება ან პასტერიზაცია, აგრეთვე გაშრობა ან შებოლვა, დასაშვებია და არ დაბლოკავს სერტიფიკატის გაცემას.

სერტიფიცირების აუდიტი

13. ხარისხის სერტიფიცირებაზე განაცხადის შეტანა განიხილება, როგორც თანხმობა სასერტიფიკაციო აუდიტზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ინკუბატორის საბჭოს ან უფლებამოსილი პირის მიერ.
14. აუდიტი შეიძლება განხორციელდეს განაცხადის შემდეგ. დასაბუთების შემთხვევაში, აუდიტი ასევე შეიძლება ჩატარდეს იმ პერიოდში, როცა სერტიფიკატი უკვე მოქმედი იქნება.
15. ინკუბატორის საბჭო (ან მის მიერ დანიშნული პირი) ახორციელებს სასერტიფიკაციო აუდიტს დოკუმენტაციის შემოწმებით, ადგილზე ვიზიტების, პროდუქტის ნიმუშების აღებით ან სხვა საჭირო და გონივრული ქმედებებით.
16. აუდიტი უნდა ჩატარდეს იმ ადგილსა და დროზე, რომელიც შერჩეული იქნება განმცხადებელთან კონსულტაციის შედეგად. აუდიტის ადგილის, თარიღის, მეთოდის ან სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ შეუთანხმებლობამ შეიძლება გამოიწვიოს განაცხადის უარყოფა.

სერტიფიკატის გამოყენება

17. მეწარმეს შეეძლება სერტიფიკატის გამოყენება სარეკლამო, სამარკეტინგო და ვიზუალური იდენტობის მიზნებისთვის. სერთიფიკატების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ პროდუქტებისთვის, რომლებმაც გაიარეს სააპლიკაციო და სასერტიფიკაციო პროცესი.
18. ზემოთ აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია მეწარმეს გაუუქმდეს სერტიფიკატი. სერტიფიკატის გაუქმებას განახორციელებს ინკუბატორის საბჭო.

სერტიფიკატი გაუქმება

19. სერტიფიკატი შესაძლებელია გაუქმდეს სამართლიანი საფუძვლის შედეგად, გურიის ხილის ინკუბატორის საბჭოს გადაწყვეტილებით.
20. სერტიფიკატი შესაძლოა გაუქმდეს, როდესაც:
    1) დაირღვა სერტიფიკატის გამოყენების წესები;
    2) განმცხადებელმა შეცვალა პროდუქტი და მოდიფიკაციის შედეგად იგი აღარ აკმაყოფილებს სერტიფიკატის მოთხოვნებს;
    3) აღმოჩენილ იქნა წესების სხვა დარღვევა;
    4) აღმოჩენილ იქნა სხვა საფუძვლიანი შემთხვევა.
21. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე, დაკავებული თანამდებობის შედეგად ან მოთხოვნის საფუძველზე.

საბოლოო დებულებები

22. რეგლამენტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია გურიის ხილის ინკუბატორის საბჭოს დადგენილებით. ცვლილებების შეტანის დროს, გურიის ხილის ინკუბატორის საბჭომ უნდა გადაწყვიტოს ახალი რეგულაციების თანხვედრაში მოყვანა წინათ გაცემულ სერტიფიკატების შეფასებასთან მიმართებით.
23. რეგულაცია (და ამასთან მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება) ძალაში შედის გურიის ხილის ინკუბატორის საიტზე განცხადების გამოქვეყნების დღიდან.